

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....	3
-------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	17
4. ძირითადი საშუალებები	18
5. საინვესტიციო ქონება	19
6. ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში	19
7. წინასწარ გადახდილი გადასახადები	19
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	19
9. გაცემული სესხები.....	20
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
11. მიღებული სესხები	20
12. სხვა ვალდებულებები	21
13. შემოსავალი	21
14. პირდაპირი ხარჯები	22
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	22
16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	22
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	26

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს ენერგიის ხელმძღვანელობას და აქციონერებს.

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ენერგიის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს, ასევე ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებსა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო მოსაზრების გამოსახატად.

მნიშვნელოვან გარემოებათა აზიზი

ჩვენ გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება მე-11 შენიშვნაზე, რომლის მიხედვითაც, კომპანიამ ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა სესხის კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური შეზღუდვები. როგორც მე-11 შენიშვნაშია განცხადებული ეს მოვლენები ან პირობები, სხვა იმ საკითხებთან ერთად რომლებიც განმარტებულია მე-11 შენიშვნაში, მიუთითებს არსებით განუსაზღვრელობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან

შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესაზრების გამოსახად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)

შპს „ბიდოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 ივნისი, 2018 წელი

შპს ენერგია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	32,034,147	33,945,382
ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში	6	52,836,229	47,126,997
საინვესტიციო ქონება	5	896,234	-
		85,766,610	81,072,379
მოკლევადიანი აქტივები			
წინასწარ გადახდილი გადასახადები	7	79,939	105,969
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	875,011	1,212,158
გაცემული სესხები	9	349,100	291,100
ფული და ფულის ექვივალენტები	10	643,766	144,753
		1,947,816	1,753,980
სულ აქტივები		87,714,426	82,826,359
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		23,885,542	23,885,542
დაუფარავი ზარალი		(4,517,617)	(14,613,099)
		19,367,925	9,272,443
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	59,695,937	65,890,169
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	8,317,926	7,294,578
სხვა ვალდებულებები	12	332,638	369,169
		8,650,564	7,663,747
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		87,714,426	82,826,359

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 15 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____

დ. უგრელიძე

მთავალი ბუღალტერი _____

ე. კოჭორიძე

10-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ენერგია

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	13	12,088,983	6,911,235
პირდაპირი ხარჯები	14	(2,156,351)	(1,990,396)
საერთო მოგება		9,932,632	4,920,839
საიჯარო შემოსავალი		77,331	10,670
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(920,041)	(1,088,499)
საოპერაციო მოგება		9,089,922	3,843,010
ერთობლივი საწარმოს მოგების/(ზარალის) წილი	6	5,709,232	(6,717,357)
საკუროსო სხვაობის მოგება/(ზარალი), წმინდა		1,495,057	(4,111,617)
საპროცენტო ხარჯები, წმინდა		(5,880,007)	(3,844,785)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(195,193)	-
ბუნებრივ კატასტროფასთან დაკავშირებული ხარჯები		(123,529)	(546,850)
სადაზღვეო კომპანიისგან მიღებული ანაზღაურება		-	12,482,008
მოგება დაბეგვრამდე		10,095,482	1,104,409
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(673,502)
მთლიანი სრული შემოსავალი		10,095,482	430,907

10-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ენერგია

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ
2015 წლის 31 დეკემბრისთვის	25 114 132	(15 044 006)	10 070 126
მფლობელზე განაწილება			
სააქციო კაპიტალის შემცირება	(1 228 590)	-	(1 228 590)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	430 907	430 907
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	23 885 542	(14 613 099)	9 272 443
მთლიანი სრული შემოსავალი	-	10,095,482	10,095,482
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	23 885 542	(4,517,617)	19,367,925

10-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ენერგია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
შემოსავალი დაბეგვრამდე		10,095,482	1,104,409
კორექტირებები:			
ცვეთის ხარჯი	4	1,048,392	986,295
აღდგენისა და რეაბილიტაციის ანარიცხი		-	200,000
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	11	5,880,007	3,844,785
ერთობლივი საწარმოს მოგების/ (ზარალის) წილი	6	(5,709,232)	6,717,357
საკუროსო სხვაობის მოგება/ (ზარალი)		(1,495,057)	4,111,617
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობაზე		9,819,592	16,964,463
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე			
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში			
წინასწარ გადახდილი გადასახადის შემცირება (ზრდა)		26,030	(84,732)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება (ზრდა)		337,145	(273,976)
სხვა ვალდებულებების შემცირება		(38,659)	(40,706)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		10,144,108	16,565,049
გადახდილი პროცენტი	11	(5,160,854)	(4,278,304)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		4,983,254	12,286,745
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	(33,391)	(15,725)
ინვესტიციის ზრდა		-	(41,967,700)
გაცემული სესხების ზრდა		(200,500)	(291,100)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(233,891)	(42,274,525)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:			
მიღებული სესხის ზრდა	11	368,588	73,032,701
მიღებული სესხების დაფარვა	11	(4,709,530)	(43,580,134)
გაცემული სესხის შემცირება		142,500	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება		-	(1,228,590)
ფინანსური საქმიანობისთვის გამოყენებული (მიღებული) წმინდა ფულადი სახსრები		(4,198,442)	28,223,977
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)		550,921	(1,763,803)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	10	144,753	1,343,769
ფულის და ფულის ექვივალენტების გადაფასების ეფექტი		(51,908)	564,787
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	10	643,766	144,753

10-26 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ენერგია (შემდეგში კომპანია) დარეგისტრირდა 2010 წლის 8 სექტემბერს თბილისში, საქართველოში, სარეგისტრაციო კოდით 401950037, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საქმიანობას ეწევა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციაა:

- ლარსი, საქართველო (სიმძლავრე 19 მეგავატი); და
- შილდა, საქართველო (სიმძლავრე 5 მეგავატი).

კომპანიის იურიდიული მისამართია 4/11 ბელიაშვილის ქუჩა, თბილისი, საქართველო.

კომპანიის დირექტორია დავით უგრელიძე.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით კომპანიის მეწილეებს წარმოადგენდნენ:

	2017	2016
მეგლუდ ბლიაძე	70%	70%
შპს ფერი	30%	30%
	100%	100%

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგებაში თანხები გაშიფრულია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. 2016 წლის 31 დეკემბერს კომპანიას აქვს უარყოფითი ლიკვიდურობის კოეფიციენტი. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფული, რომელსაც კომპანია გამოიმუშავებს ელექტროენერგიის რეალიზაციით საკმარისი იქნება ვალდებულებების დასაფარად. საჭიროების შემთხვევაში მეწილეები განიხილავენ კომპანიაზე გაცემული სესხების გადახდების გადავადებას, ასევე დამატებითი ფონდების ინვესტიციას მოახდენენ სამუშაო კაპიტალში, იქამდე სანამ კომპანია შეძლებს დააგენერიროს საკმარისი ფულადი ნაკადები. ხელმძღვანელობას სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და კომპანია აპირებს გააგრძელოს თავისი საქმიანობა საპროგნოზო მომავალში.

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და არ დაუნერგავს კომპანიას ნაადრევად ფინანსურ ანგარიშგებაში, ექნებათ ან შეიძლება ჰქონდეთ გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე:

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას და გაზომვას. ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში. ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ფასს 9-ის მიხედვით, პირი ვალდებულია შეუქცევადად წარადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 9-ში შმოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის „მომავალი საკრედიტო დანაკარგის“ მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებებისთვის ადგილი არ ჰქონია ცვლილებას კლასიფიცირებასა და გაზომვაში გადრა საკრედიტო რისკის ცვლილებისა, რომელიც აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომელიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. ფასს 9 ასევე გვთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩაანაცვლდა „ეკონომიკური ურთიერთობის“ პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. ჯერ კიდევ საჭიროა კონტექსტური დოკუმენტაცია, მაგრამ აღნიშნული განსხვავდება ბასს 39-ის შესაბამისად მომზადებული დოკუმენტაციისგან. სტანდარტი ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვა.

ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ ეხება შემოსავლის აღიარებას. ის აცალიბებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდების პრინციპებს, კლიენტთან გაფორმებული კონტრაქტიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისა და შემოსავლების ბუნების, მოცულობის, დროულობის და უზუსტობის შესახებ. შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს საქონელზე ან სერვისზე, ანუ როდესაც აქვს შესაძლებლობა მართოს მისი გამოყენება და მიიღოს სარგებელი აღნიშნული საქონლისგან ან სერვისისგან. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს ბასს 18- შემოსავლებს და ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტებს და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. სტანდარტი ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს, მაგრამ დასაშვებია მისი ვადამდე ადრე გამოყენებაც.

კომპანიამ შეაფასა და თვლის რომ ახალი სტანდარტები, ფასს 15 და ფასს 9 მომავალში არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია ფასს 16-ის გავლენის შეფასების პროცესშია, რადგან მან შეიძლება მოახდინოს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ სრულ ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ერთობლივი საქმიანობა

ერთობლივი კონტროლი ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივი კონტროლის უფლებაა ამა თუ იმ საქმიანობაზე, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც რელევანტურ საქმიანობებთან

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა ერთსულოვან თანხმობას. ერთობლივი კონტროლი შეფასებულია იმავე პრინციპებით, როგორც შვილობილი კომპანიების კონტროლი. ერთობლივი საქმიანობა შეიძლება იყოს:

- ერთობლივი საწარმო: როდესაც კომპანიას აქვს უფლება მხოლოდ წმინდა აქტივებზე.
- ერთობლივი ოპერაცია: როდესაც კომპანიას აქვს როგორც უფლებები აქტივებზე ასევე პასუხისმგებლობა ვალდებულებებზე, რომელიც წარმოიქმნება ერთობლივი შეთანხმების ფარგლებში.

ერთობლივი საქმიანობის კლასიფიცირებისთვის, კომპანიამ უნდა განიხილოს შემდეგი ფაქტორები:

- ერთობლივი საქმიანობის სტრუქტურა
- განცალკევებული სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა
- სახელშეკრულებო შეთანხმების პირობები
- სხვა ფაქტორები და გარემოებები.

კომპანია ერთობლივ საქმიანობაში წილს აღრიცხავს წილობრივი მეთოდით. წილობრივი მეთოდის თანახმად, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღრიცხება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში. ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში, ან ზარალში აღიარდება ინვესტორის მოგებაში, ან ზარალში. ინვესტირებული საწარმოდან დივიდენდების ან სხვა სახის განაწილებული თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას. ინვესტიციის საბალანსო ღირებულების კორექტირება შეიძლება აუცილებელი გახდეს აგრეთვე ინვესტირებულ საწარმოში ინვესტორის კუთვნილი პროპორციული წილის ცვლილების გასათვალისწინებლად, რასაც იწვევს ინვესტირებული საწარმოს სხვა სრული შემოსავლის ცვლილება. ამგვარ ცვლილებებს იწვევს ძირითადი საშუალებების გადაფასება და უცხოურ ვალუტაში მუხლების გადანაგარიშების შედეგად წარმოქმნილი განსხვავებები.

როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში არის გასაუფასურებელი, ინვესტიციის საბალანსო ღირებულება მოწმდება გაუფასურებაზე, ისე, როგორც არაფინანსური აქტივების შემთხვევაში.

კომპანია თავდაპირველი აღიარებისას თავისი წილის აღსარისცხად ერთობლივ საწარმოში, აღიარებს მის წილ აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალს და ხარჯს, კონტრაქტით მინიჭებული უფლებების და პასუხისმგებლობების შესაბამისად. ფასს 11 მიხედვით, თუ კომპანია იძენს წილს საერთო საწარმოში, ის ვალდებულია გამოიყენოს ფასს 3-ით გათვალისწინებული ყველა პრინციპი.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის დროს წარმოშობილი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლო კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით.

კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის სესხები და მოთხოვნები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, გაცემულ სესხებსა და ფულსა და ფულის ექვივალენტებს. ფული და ფულის ექვივალენტები წარმოადგენენ მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიციებს, რომლებსაც გააჩნიათ 3 თვიანი მომწიფების ვადა და ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში (ან ბიზნესის ნორმალურ საოპერაციო ციკლში თუ გრძელდება), ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. რეზერვის ზარალის აღიარება ხდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში.

გაუფასურება გამოითვლება აქტივების რისკებთან დამოკიდებულების ანალიზის საფუძველზე და ასახავს ოდენობას, რომელიც ხელმძღვანელობის მოსაზრებით საკმარისია გაუფასურებასთან დაკავშირებული დანაკარგების გადასაფარად. ფინანსური აქტივები რომელთა ინდივიდუალური გაუფასურების შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად და იმის გარსაკვევად, თუ რამდენად მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ეს ჯგუფზე. ამ ანალიზის საფუძველზე იქმნება რეზერვები. ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე კოლექტიურად შესაფასებლად მათი დაჯგუფება ხდება საკრედიტო რისკებისადმი მსგავსი მახასიათებლების მიხედვით.

თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას (მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით პირდაპირ ან შესაბამისი გაუფასურების რეზერვის კორექტირებით. გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მიღებული სესხების და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეიტხლები ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

რეალური ღირებულებით შეფასება

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძლებელია ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასები (არაკორექტირებული)
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)
შენობა-ნაგებობები	50
ჰიდროტექნიკური ნაგებობები	50
ტექნიკური აღჭურვილობა	25
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	5
ავტომობილები	5

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხდება ყოველ საანგარიშო პერიოდში, რათა შეფასება მოხდეს არის თუ არა საბალანსო ღირებულება მეტი შესაბამისი აქტივის აღდგენით ღირებულებაზე.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების გრძელვადიანი ზრდის ან ორივე მიზნით. საინვესტიციო ქონების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. კომპანია შემდგომი აღრიცხვისთვისთვის თვითღირებულების მოდელს იყენებს.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის (50 წელი) განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა მარაგებისა.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოიხილავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით სხვა სრულ შემოსავალში.

სახელფასო და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე და საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას, რომლებიც პერიოდულად გადაიხედება მიზანშეწონილობის უწყვეტობისთვის. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის მუხლებში.

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ჰიდროტექნიკური ნაგებობები	ტექნიკური აღჭურვილობა	შენობა- ნაგებობები	სხვა	ჯამი
2015 წლის 31 დეკემბრისთვის	21,922,606	13,985,118	1,056,631	185,614	37,149,969
შეძენა	-	4,319	-	20,233	24,552
გასვლა	-	-	-	(25,027)	(25,027)
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	21,922,606	13,989,437	1,056,631	180,820	37,149,494
შეძენა	-	-	-	33,391	33,391
საინვესტიციო ქონებაში გადატანა	-	-	(936,830)	-	(936,830)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	21,922,606	13,989,437	119,801	214,211	36,246,055
დაგროვილი ცვეთა					
2015 წლის 31 დეკემბრისთვის					
ცვეთა	(441,297)	(503,163)	(19,881)	(21,954)	(986,295)
გასვლა	-	-	-	16,200	16,200
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	(1,343,709)	(1,675,775)	(25,415)	(159,213)	(3,204,112)
ცვეთა	(441,297)	(559,218)	(19,881)	(27,996)	(1,048,392)
საინვესტიციო ქონებაში გადატანა	-	-	40,596	-	40,596
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	(1,785,006)	(2,234,993)	(4,700)	(187,209)	(4,211,908)
ნეტო საბალანსო ღირებულება					
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	20,578,897	12,313,662	1,031,216	21,607	33,945,382
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	20,137,600	11,754,444	115,101	27,002	32,034,147

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითად საშუალებები სრულად ჩადებულია თიბისი ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფაში.

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

5. საინვესტიციო ქონება

2017 წლის 31 დეკემბრის საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია სასტუმროთი, რომელიც მდებარეობს ყაზბეგში. 2017 წლის 1 იანვრიდან სასტუმრო გაცემულია საოპერაციო ს.ს. დარიალი ენერჯიზე. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების ისტორიული ღირებულება და დაგროვილი ცვეთა იყო 936,830 და 40,596 ლარი, შესაბამისად.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასტუმრო ჩადებულია თიბისი ბანკის სესხების უზრუნველყოფაში.

6. ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში

ფასს 11-ის მიხედვით ერთობლივმა მეწილემ ერთობლივ საწარმოში კუთვნილი წილი უნდა აღიაროს, როგორც ინვესტიცია და ეს ინვესტიცია ასახოს წილობრივი მეთოდით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობდა 44.27% და 47,37% სს დარიალი ენერჯიში (შემდეგში - ერთობლივი საწარმო). ერთობლივი საწარმოს ძირითადი საოპერაციო აქტივია ჰიდროელექტროსადგური „დარიალი“, რომელიც ოფიციალურად 2016 წლის 1 დეკემბერს ამოქმედდა. ერთობლივი საწარმო თავის ძირითადი საქმიანობის, ელექტროენერგიის წარმოების, საწყის ეტაპზეა. კომპანიას და ერთობლივ საწარმოს აქვს იგივე საანგარიშგებო პერიოდები.

საკონტრაქტო შეთანხმება კომპანიას აძლევს მხოლოდ უფლებას ერთობლივი საწარმოს წმინდა აქტივებზე, ღირებულების გადანაწილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
1 იანვრისთვის	47,126,997	11,876,654
ინვესტიციის ზრდა	-	41,967,700
მოგება/ (ზარალის) წილი	5,709,232	(6,717,357)
31 დეკემბრისთვის	52,836,229	47,126,997

ერთობლივი საწარმოს შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
აქტივები	261,841,000	265,794,000
ვალდებულებები	213,987,000	237,043,000
პერიოდის მოგება (ზარალი)	11,512,000	(29,206,000)

7. წინასწარ გადახდილი გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს დანეტებულიად, როგორც აქტივი 79,939 და 105,969 ლარის შესაბამისად.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2017	2016
ფინანსური აქტივები დაკლასიფიცირებული, როგორც სესხები და მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	865,865	960,354
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	9,146	251,804
	875,011	1,212,158

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

როგორც მე-13 შენიშვნაშია აღნიშნული, ელექტროენერგიის რეალიზაცია ხდება მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ კომპანიაზე - სს ესკო-ზე (ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი). 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ესკო-სგან სავაჭრო მოთხოვნების საერთო ბალანსი შეადგენდა 714,216 და 900,336 ლარს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების განაწილება ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-16 შენიშვნაში. ფინანსური მოთხოვნები არ შეიცავდა ვადაგადაცილებულ და გაუფასურებულ ნაშთებს.

9. გაცემული სესხები

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხები იყო გაცემული დირექტორებზე, ლარში. დაფარვის ვადა არის მოთხოვნამდე.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2017	2016
ფული სალაროში	34	4,247
ფული ბანკში	643,732	140,506
	643,766	144,753

ფული და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-16 შენიშვნაში.

11. მიღებული სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დასრულების თარიღი	2017	2016
გრძელვადიანი ნაწილი					
ს.ს. თიბისი ბანკი	USD	8.5%	1-იან-2027	59,695,937	65,890,169
მოკლევადიანი ნაწილი					
ს.ს. თიბისი ბანკი	USD	8.5%	1-იან-2027	5,296,841	4,423,310
შპს ფერი	USD	13.6%	მოთხოვნამდე	2,566,782	2,871,268
მეველდ ბლიაძე	EUR	17%	31-12-2018	361,243	-
სხვა	USD			93,060	-
				8,317,926	7,294,578
სულ სესხები				68,013,863	73,184,747

სს თიბისი ბანკთან არსებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანია სესხის დასრულების თარიღამდე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფინანსურ შეზღუდვებს:

- შეინარჩუნოს სესხის მომსახურების კოეფიციენტი არანაკლებ 1.08-ზე;
- შეინარჩუნოს ყაზბეგ ჰესთან კონსოლიდირებული სესხის მომსახურების კოეფიციენტი არანაკლებ 1.3-ზე;
- შეინარჩუნოს Debt to EBITDA კოეფიციენტი არაუმეტეს 5.71-სა - 2017 წელს, 5.28 -2018 წელს, 4.81 - 2019 წელს, 4.30 - 2020 წელს და 3.74 - 2021 წელს;
- შეინარჩუნოს ყაზბეგ ჰესთან კონსოლიდირებული Debt to EBITDA კოეფიციენტი არაუმეტეს 4.80-სა - 2017 წელს, 4.00 - 2018 წელს, 3.50 - 2019 წელს, 3.00 - 2020 წელს და 2.50 2021 წელს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ვერ დააკმაყოფილა სასესხო ხელშეკრულებით დადგენილი ფინანსური შეზღუდვები. ფინანსური შეზღუდვების ვერ დაკმაყოფილების შემთხვევაში

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

11. მიღებული სესხები (გაგრძელება)

კრედიტორს აქვს უფლება მაგრამ არა ვალდებულება მოითხოვოს თანხის დაუყოვნებლივ დაფარვა.

კრედიტორისგან მიღებული დასტურის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მოლოდინი აქვს, რომ კრედიტორი არ მოითხოვს სესხის დაუყოვნებლივ დაფარვას.

სს თიბისი ბანკის სესხის უზრუნველსაყოფად, მსესხებლის მიერ იპოთეკით დაიტვირთა ძირითადი საშუალება და საინვესტიციო ქონება, ასევე აქციონერთა 100%-იანი წილი. ფინანსური ვალდებულებების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2016 წლის 31 დეკემბრის	73,184,747
სესხის დაფარვა	(4,709,530)
პროცენტის გადახდა	(5,160,854)
გადაფასების ეფექტი	(1,549,095)
საპროცენტო ხარჯი	5,880,007
სესხის აღება	368,588
2017 წლის 31 დეკემბრის	68,013,863

12. სხვა ვალდებულებები

	2017	2016
ფინანსური ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	244,791	-
სახელფასო ვალდებულება	32,978	35,205
სხვა ვალდებულებები	54,869	62,982
ვალდებულებები სამშენებლო კონტრაქტებიდან	-	70,982
	332,638	169,169
არაფინანსური ვალდებულებები		
აღდგენისა და რეაბილიტაციის ანარიცხი	-	200,000
	332,638	369,169

ფინანსური ვალდებულებების განაწილება ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-16 შენიშვნაში.

13. შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს შილდა ჰესისა და ლარსი ჰესის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს. თითოეული ჰესის მიერ გენერირებული შემოსავალი წარდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ლარსი ჰესი	9,437,165	3,899,385
შილდა ჰესი	2,651,818	3,011,850
	12,088,983	6,911,235

კომპანია წარმოებული ელექტროენერგიის 100%-ს ყიდის სს ესკოს (ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი). ელექტროენერგიის ფასი რეგულირდება საქართველოს მთავრობის მიერ.

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

14. პირდაპირი ხარჯები

	2017	2016
ცვეთა	(1,008,222)	(946,667)
ხელფასები	(573,183)	(516,347)
ქონების გადასახადი	(359,398)	(360,335)
ქონების დაზღვევა	(89,687)	(80,430)
სხვა	(125,861)	(86,617)
	(2,156,351)	(1,990,396)

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
ხელფასები	(624,409)	(719,368)
დაზღვევა	(121,675)	(99,408)
ცვეთა	(40,170)	(39,628)
პროფესიული სერვისები	(28,857)	(62,276)
რემონტი და შეკეთება	(26,614)	(33,014)
სხვა ხარჯები	(78,316)	(134,805)
	(920,041)	(1,088,499)

უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპენსაციები განმარტებულია მე-17 შენიშვნაში.

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	865,865	960,354
გაცემული სესხები	349,100	291,100
ფული ბანკში	643,732	140,506
	1,858,697	1,391,960
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	68,013,863	73,184,747
სხვა ვალდებულებები	332,638	169,169
	68,346,501	73,353,916

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

რეალური ღირებულებები

ყველა ის ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომელთა რეალური ღირებულებაც გაშიფრულია, შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მე-3 დონეზე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშება, როდესაც ხდება შემდგომი გადახდის პირობით გაყიდვები. კომპანია წარმოებული ელექტროენერგიის 100%-ს ყიდის სს ესკოს (ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი), რომელიც არის სახელმწიფო ორგანო, შესაბამისად ვალდებულების შეუსრულებლობის მინიმალური რისკია. ჩვეულებრივ, ბიზნესში კომპანიას აქვს უმნიშვნელო საკრედიტო რისკი. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	865,865	960,354
გაცემული სესხები	349,100	291,100
ფული ბანკში	643,732	140,506
	1,858,697	1,391,960

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ლიკვიდურობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკების ანალიზი წარმოდგენილია მომდევნო ცხრილებში. ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია ეყრდნობა კომპანიის უმაღლესი მენეჯენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

ლიკვიდურობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	865,865	-	-	865,865
გაცემული სესხები	349,100	-	-	349,100
ფული ბანკში	643,732	-	-	643,732
	1,858,697	-	-	1,858,697
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	8,666,891	24,276,628	35,070,344	68,013,863
სხვა ვალდებულებები	332,638	-	-	332,638
	8,999,529	24,276,628	35,070,344	68,346,501
ლიკვიდურობის სხვაობა	(7,140,832)	(24,276,628)	(35,070,344)	
აკუმულირებული				
ლიკვიდურობის სხვაობა	(7,140,832)	(31,417,460)	(66,487,804)	

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	960,354	-	-	960,354
გაცემული სესხები	291,100	-	-	291,100
ფული ბანკში	140,506	-	-	140,506
	1,391,960	-	-	1,391,960
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	7,585,727	22,698,159	42,900,861	73,184,747
სხვა ვალდებულებები	169,169	-	-	169,169
	7,754,896	22,698,159	42,900,861	73,353,916
ლიკვიდურობის სხვაობა	(6,362,936)	(22,698,159)	(42,900,861)	
აკუმულირებული				
ლიკვიდურობის სხვაობა	(6,362,936)	(29,061,095)	(71,961,956)	

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	865,865	-	-	865,865
გაცემული სესხები	349,100	-	-	349,100
ფული და ფულის ექვივალენტები	21,638	622,128	-	643,766
	1,236,603	622,128	-	1,858,731
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	10,000	67,642,620	361,243	68,013,863
სხვა ვალდებულებები	332,638	-	-	332,638
	342,638	67,642,620	361,243	68,346,501
ღია საბალანსო პოზიცია	893,965	(67,020,492)	(361,243)	(66,487,770)

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

16. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	960,354	-	960,354
გაცემული სესხები	291,100	-	291,100
ფული და ფულის ექვივალენტები	91,167	53,586	144,753
	1,342,621	53,586	1,396,207
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	73,184,747	73,184,747
სხვა ვალდებულებები	169,169		169,169
	169,169	73,184,747	73,353,916
ღია საბალანსო პოზიცია	1,173,452	(73,131,161)	(71,957,709)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს უცხოურ ვალუტაში არსებულ მონეტარულ ნაშთებს და აკორექტირებს მათ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 20%-იანი ცვლილებით.

წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

	2017		2016	
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი	(13,404,098)	13,404,098	(14,626,232)	14,626,232
მოგება/(ზარალი)				
ევროს ეფექტი მოგება/(ზარალი)	(72,249)	72,249	-	-

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოშვას ბაზარზე არსებულმა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. კომპანიას ყველა მიღებული და გაცემული სესხი გააჩნია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, შესაბამისად არასდროს ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

შპს ენერგია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მფლობელები	უმაღლესი ხელმძღვანე ლობა	ერთობლივი საწარმო	სხვა დაკავშირებული მხარე
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	46,050	-	91,250	-
გაცემული სესხები	-	344,100	-	-
მიღებული სესხები	2,928,025	83,060	-	-
სხვა ვალდებულებები	36,182	-	-	188,100

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული

შემოსავლის ანგარიშგება

საიჯარო შემოსავალი	-	-	77,331	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,559)	(410,206)	-	-
ბუნებრივ კატასტროფასთან დაკავშირებული ხარჯები	(20,508)	-	-	(180,339)
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	(216,460)	(5,294)	-	-
საკურსო სხვაობის ხარჯი, წმინდა	(84,117)	-	-	-

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2016 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მფლობელები	უმაღლესი ხელმძღვანელობა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	46,050	-
მიღებული სესხები	2,871,268	-
სხვა ვალდებულებები	36,182	-
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება		
საიჯარო შემოსავალი	10,170	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,956)	(457,125)
ბუნებრივ კატასტროფასთან დაკავშირებული ხარჯები	(30,119)	-
საპროცენტო ხარჯი, წმინდა	(258,213)	-
საკურსო სხვაობის ხარჯი, წმინდა	(427,623)	-

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს ენერგიის ხელმძღვანელობას და აქციონერებს.

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ენერგიის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს, ასევე ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებსა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ქვემოთ, ჩვენი დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო მოსაზრების გამოსახატად.

მნიშვნელოვან გარემოებათა აზრადი

ჩვენ გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება მე-11 შენიშვნაზე, რომლის მიხედვითაც, კომპანიამ ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა სესხის კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური შეზღუდვები. როგორც მე-11 შენიშვნაშია განცხადებული ეს მოვლენები ან პირობები, სხვა იმ საკითხებთან ერთად რომლებიც განმარტებულია მე-11 შენიშვნაში, მიუთითებს არსებით განუსაზღვრელობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქონიებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესაზრების გამოსახად;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ექვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)

შპს „ბიდიოს“ სახელით
თბილისი, საქართველო
15 ივნისი, 2018 წელი



(ლარში)

გვერდი 6 - 26